სხდომის ოქმი N7

2016 წლის 18 მარტი **ქ. ხობი**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 და მე-8 თავით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ნორმების შესაბამისად, გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის სხდომა.

სხდომის ადგილი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა.

სხდომა დაიწყო: 11:20 საათზე.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია.

ადმინისტრაციული წარმოების დასახელება:

თემირ კაკაჩიას განცხადებისგანხილვა (საკუთრების უფლების აღიარება)

სხდომას ესწრებოდნენ:

თემირ კაკაჩია - განცხადებელი;

კომისია:

როსტევან გვარამია -საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების" თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარე;

ლაშა ცატავა - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ეკა ტიბუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი - კომისიის მდივანი;

სევერიან ბუკია - სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

გოჩა სიჭინავა - საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

გოჩა შანავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ლამზირა თოდუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საკრებულოს აპარატის მიერ კომისიის ყველა წევრს კანონით დადგენილ ვადაში გაეგზავნა შეტყობინება კომისიის სხდომის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარის კითხვაზე განმცხადებელს და კომისიის წევრებს ერთმანეთის მიმართ აცილების საკითხი არ დაუყენებიათ.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ როსტევან გვარამიამ აღნიშნა რომ, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულების მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა და გადაწყვიტოს თემირ კაკაჩიას მოთხოვნა ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ქ. ხობი ჭყონდიდელის ქN20-ში თვითნებურად დაკავებული 70მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა თემირ კაკაჩიას განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია და გააცნო კომისიის წევრებს.

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა როსტევან გვარამიამ დოკუმენტაციის განხილვისას აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში ქ. ხობის ჭყონდიდელის ქN20-ში თემირი კაკაჩია თვითნებურად ფლობს და სარგებლობს 2000 წლიდან. რეგისტრირებული არ ქონია, ვინაიდან უფლების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ გააჩნია, მისივე თქმით, პრეტენზია ამ ქონებაზე არავის არ გააჩნია და ითხოვს განცხადების დაკმაყოფილებას.

- კომისიის წევრმა როსტევან გვარამიამ, ლაშა ცატავმ, გოჩა სიჭინავამ აღნიშნეს, რომ განმცხადებლის დოკუმეტაციაში ნაჩვენები მშენებარე ავტოსამრეცხაო რომლის

- ფართი 56,39 კვ.მ-ია, ადგილზე დაათვალიერეს და აღმოჩნდა, რომ შენობა ნაგებობა დანგრეულია, რაც არ ქმნის საფიძველს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე. არსებული გარემოება არ შეესაბამება საქართველოის კანონის "ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ" მე-2 მუხლის „გ" პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კომისიის წევრებმა საკითხის გადწყვეტა დააყენეს კენჭისყრაზე.

კომისიამ გადაწყვიტა:

თემირ კაკაჩიას მოთხოვნა (პირადი ნომერი 58001004941) ხობის ადმინისტრაციულ ერთეულში ქ. ხობის ჭყონდიდელის ქN20-ში თვითნებურად დაკავებული 70მ² სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე არ დაკმაყოფილდეს.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 30 დღის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. #3).

სხდომა დახურულად გამოცხადდა 2016 წლის 18 მარტი 11:35 წუთზე.

კომისიის თავმჯდომარე: როსტევან გვარამია

კომისიის მდივანი: ეკა ტიბუა.

კომისიის წევრები: ლაშა ცატავა

სევერიანე ბუკია

გოჩა სიჭინავა

გოჩა შანავა

ლამზირა თოდუა